„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული

ფედერაცია

---

11 მაისი 2026 წ.

საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში - მეორე დონე

(ვაჟები)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

2026 წელი

13-14 ივნისი

თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია
- საქართველოს ძიუდოს ახალგაზრდული ნაკრების დაკომპლექტება.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2006-2008 წლებში დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, მათ შორის 2026 წელს ახალგაზრდებს შორის ჩატარებული ჩემპიონატის პრიზიორები, გარდა ფინალისტებისა.

რეგისტრაცია

- პირადმა მწვრთნელებმა (კლუბებმა) საკუთარი ძიუდოისტები უნდა დაარეგისტრირონ ელექტრონულად 9 ივნისამდე.
- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან https://gjf.ge/geo/calendar/georgia სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. რეგისტრირებული ძიუდოისტები ავტომატურად აისახებიან მონაწილეთა სიაში ვებგვერდზე https://portal.judomanager.com/gjf
- რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, კენჭისყრა, ადგილი, დრო

- შეჯიბრება ჩატარდება 2026 წლის 13-14 ივნისს თბილისში, ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვების შემდეგ.
- ჩამოსვლის დღე 12 ივნისი, წასვლის დღე 15 ივნისი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00 საათი.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო). დამატებითი დრო განისაზღვრება „ოქროს ქულამდე“.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში: -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, -90კგ, -100კგ, +100კგ.
- 13 ივნისი: -60კგ, -66კგ, -100კგ, +100კგ;

- 14 ივნისი: -73კგ; -81კგ, -90კგ.
- PS. რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს წონით კატეგორიებში შეჯიბრების ჩატარების დღეები.

VI. აწონვა

- აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების ჩატარების წინა დღეს. თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
- არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათებში;
- ოფიციალური 17:00 – 18:00 საათებში;

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი / ფაქსი: 0322516466;
საკონტაქტო პირი – 577994407 ზურაბ უსუფაშვილი

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი ფერის კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან იმ სპორტსმენთა მონაწილეობა, რომელთა წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის ორი კილოგრამით მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილისა, მას აეკრძალოს ასპარეზობა სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე